# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დას... ...დ და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ ... მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ქვლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


21 დეკემბერს, ღამის 2 საათზედ გარდაიცვალა ფილტვების ანთებით ჩვენს ლიტერატურაში ცნობილი მოღვაწე, ჟურნალ „ცისკარი“-ს რედაქტორად ნამყოფი **ივანე ივანეს ძე კერესელიძე**, 63 წლისა, ავლაბარში, სირაჩხანას თავზე ეჩმიაწინის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში. დაასაფლავებენ შაბათს, 26 დეკემბერს, გამოსვენება იქმნება 10 საათზედ. პანაშვიდი ყოველ დღე შუა-დღის შემდეგ 5 საათამდე.

გაზეთ „მშაკ“-ის რედაქცია ამით აცხადებს, რომ განსვენებულის **გრიგოლ არწრუნის** დასაფლავება დანიშნულია კვირას, 27 დეკემბერს. პანაშვიდი ყოველ დღეა, საღამოს 6 საათზედ. გარდაცვალებულის გამოსვენება ვანქის ტაძარში რედაქციის სადგურიდგან მოხდება 26 დეკემბერს, დილის 10 საათზედ. დასაფლავება ხოჯივანქის სასაფლაოზედ.

იანვრის 6-სს 1893 წ.

ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში გამართულ იქნება

**ბ ა ლ ი**

ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ.

ფასი ბილეთისა 2 მან. და 10 კაპ.

ქალებს შეუძლიანთ გულ-ამოუჭრელ კაბებითაც დაესწრნენ.

ბალი საღამოს 9 საათზედ დაიწყება

ბილეთები იყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან.

ქართული თეატრი

შაბათს, 26 დეკემბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილ იქნება პირველად ამ სეზონში

I

**რუსთაველი**

ისტორიული პიესა 4 მოქმედ. კ. მესხისა

II

**დაკვრიალდა ფარა**

ვოდევ. 1 მოქმ. გადმ. კ. ყიფიანის მიერ

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი დაკლებულია

შეგირდებისთვის კუპონები ლოჟაში 50 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

ანონსი: შაბათს, 2 იანვარს, დანიშნულია სადღესასწაულო წარმოდგენა, ქართულ თეატრის დაარსების გამო.

ადმინისტრატორი კ. გუნია

**სახლების ამშენებელ ამხანაგობისაგან** სახლების ამშენებელ ამხანაგობის კანცელარიაში მსურველთ შეუძლიანთ მოილაპარაკონ მმართველთან 1 იანვრიდამ: ორშაბათობით, სამშაბათობითა და ოთხშაბათობით, დილის 10 საათის ნახევრამდე, ხოლო კვირაობით—12 საათამდე. (10—4)

**დოქტორი ს. ვაწაძე**

იღებს ავადმყოფებს ნაშუადღევის 3 საათიდგან 6 საათამდე (ელისაბედის ქუჩა, კობიევის სახლი, № 116). (30—23)

## ახალი ამბავი

*** ივანე ივანის ძე კერესელიძეს დაასაფლავებენ შაბათს, 26 დეკემბერს, დიდუბის სასაფლაოზედ.

*** ბუხარას ემირმა ტფილისის კლასიკურს პირველ გიმნაზიაში გაგზავნა საჩუქრად 6 ფუთი კანფეტი და ორი ოქროს საათი გიმნაზიის ორ მოწაფეთათვის. ერთმა მათგანმა ემირს ადრესი წაუკითხა.

კადეტთა კორპუსშიაც ემირმა 3 ფუთი კანფეტი გაგზავნა და ორი ოქროს საათი ორ მოწაფეთათვის.

აგრედვე ორი ოქროს საათი გაგზავნა იუნკრის სკოლაშიაც.

ტფილისში ემირმა სხვა და სხვებს დაურიგა 32 ვარსკვლავი და დიდძალი საჩუქარი, სხვათა შორის ანტრეპრენიორებს: ქ-ნ საფაროვა-აბაშიძისას და ბ-ნ ფორკატის და არტისტებს: ენგლუნდსა, ივანოვისას და ბიაზის, რომელსაც ძვირ-ფასი ხალათი აჩუქა.

პოლიციის კარის კაცთა ყაზახებს და სხვა მოსამსახურეთ ემირმა 1 500 მანათამდე უბოძა.

22 დეკემბერს, დილის 10 საათზედ ემირი კავკავს გაემართა და იქიდგან მოსკოვს გაემგზავრება და შემდეგ პეტერბურგს, სადაც ორ თთვემდე დაჰყოფს.

*** ამ დღეებში ვაცოდინეთ ჩვენს მკითხველებს, რომ დრამატიულ საზოგადოების მმართველობამ გადასწყვიტა დღესასწაულობით გადაიხადოს ქართულ თეატრის დაფუძნების დღე და განსაკუთრებულის მომზადებით მოაწყოს სპექტაკლი. პირველი ქართული წარმოდგენა (თ. გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“) იყო იანვრის 2-სა 1850 წელს. მაშასადამე, 43 წელიწადი შესრულდება მომავალს 2 იანვარს. ჩვენში ერთხელ—ორჯელ იდღესასწაულეს ეს დღე, მაგრამ შესაფერის მოწყობით ვერ იყო მომართული Ⴭ ამიტომ საზოგადოებისაგან შეუმჩნევლად ჩაიარა. როგორც გვახსოვს, ეს იყო 1883 Ⴭ 1884 წელს. მას შემდეგ დავიწყებულ იქმნა, თუმცა კი დასავიწყარი არ უნდა იყოს იმისთანა საგანი, როგორც თეატრის დაფუძნებაა. ორმოც და სამის წლის წინად თეატრი არა გვქონდა, პიესები არ იყო, არტისტები არა გვყვანდა. არამც თუ სადმე სამაზრო ქალაქებში, თვით დედა ქალაქ ტფილისშიც თეატრის ხსენება არ იყო იმდროს, როდესაც რუსეთის პაწია ქალაქებში ყველგან ნოიპოვებოდა თეატრიც, დახელოვნებული აქტიორებიც, ან მოყვარულთა წრე. ორმოც Ⴭ სამს წელში დიდი ვაი-ვაგლახი გამოიარა ქართულმა თეატრმა, ბევრი თავგადასავალი გადახდა, მაგრამ, როგორც იყო, მოაღწია, დღევანდლამდე. გულიანად მივეგებოთ მომავალ დღესასწაულს და ვისურვოთ, უკეთესი ბედნიერი დრო დასდგომოდეს ქართველთ, საზოგადოების შრომით და დახმარებით.

*** ჩვენ მივიღეთ №№ 17—20 სამეურნეო გაზეთის „მეურნისა“. ეს გაზეთი კარგა ხანია, თითქმის ხუთი თთვეა, აღარ გამოსულა და, ჩვენდა სასიამოვნოდ, დღეს კიდევ დაგვენახვა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამას იქით მაინც გაზეთი თავ-თავის დროზე გამოვა, განაგრძობს თავის არსებობას და მით მცირე სარგებლობას არ მოუტანს სამეურნეო ცოდნის გავრცელებას ჩვენში. ზემოხსენებულს ნომერში, რომელიც საკმაოდ ვრცელია, მოთავსებულია, სხვათა შორის, შემდეგი წერილები: „ღვინის ვაჭრობისა და ყიდვის მოწყობის საქმე“ პ. ყ—ისა, „ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამო“, ყ—ისა, პასტერის 70 წლის დღესასწაულობა სამეურნეო საზოგადოებაში“, „წერილი სამეგრელოდამ“, „მასალა ქართულის ბოტანიკისათვის“, მ. ზაალიშვილისა, „საჰიგიენო წერილი“ ი. თიკანაძისა, და სხ.

*** ჩვენ მივიღეთ №№ 9—10 კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ჟურნალისა, რომელშიაც მოთავსებულია, სხვათა შორის, თარგმანი ჟირარის წერილისა კარტოფილის მოყვანის შესახებ, წერილი ბ-ნ ქალანთარისა „ცხენების გამოფენის შესახებ, ტფილისში 1892 წელს“ და „ტფილისის მაზრაში“ ს. პონიატოვსკისა. ამავე ნომერშია თარგმანი ბ-ნ ნადიკვრელის წერილისა კახეთიდამ, რომელიც ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი წლევანდელ ღვინის მოსავლის შესახებ.

*** რკინის გზებზედ მეოთხე კლასის ვაგონების შემოღება უკვე გადუწყვეტიათ და პროექტს ამ საქმის შესახებ მომავალ წლის დასაწყისს წარუდგენენ მთავრობას დასამტკიცებლად.. მეოთხე კლასით მიმოსვლა ეღირება ვერსზე $^3/_4$ კაპ.

*** ტფილისის საბებიო ინსტიტუტში ეგზამენი დანიშნულია 28 დეკემბერს.

*** ერთს ფულის პატრონს ტფილელს განუზრახავს სახამებლის ქარხანა გაჰმართოს ტფილისში.

*** ტფილისის თავად-აზნაურთა კრებამ ამა წლის მაისში გადასწყვიტა, დაარსდეს კომისია და დაევალოს შეიმუშავოს პროგრამმა თავად-აზნაურთა სკოლისა. ეს პროგრამა უნდა შეეფერებოდეს აწინდელ სამეურნეო-სამრეწველო მოთხოვნილებას. ამ კომისიის წევრნი დიდის ყურადღებით მოეკიდნენ საქმეს და შეაგროვეს საჭირო ცნობები შესახებ იმისა, რა პროგრამებით მოქმედობენ სამეურნეო სკოლები რუსეთსა და საზღვარ გარედ. ოთხშაბათს, 22 დეკემბერს, დანიშნულია კრება ამ კომისიისა.

*** ქართულ დრამატიულ საზოგადოების მმართველობამ გადასწყვიტა გვირგვინით შეამკოს კუბო გარდაცვალებულ გრიგოლ არწრუნისა, რომელიც დიდად თანაუგრძნობდა ქართულ თეატრის საქმეს.

*** სოფ. დიდი-ჯიხაიში: (ქვემოიმერეთი) 18 დეკემბერი. ეს თორმეტი დღეა, რაც ჩვენკენ წვიმს, თოვს და ჰქრის საშინელი ქვენა ქარი. წყლები გადიდდა და მისვლა-მოსვლა გაძნელდა. სკოლის საწყალი შეგირდები დარჩნენ სახლში და სკოლაში, ძალიან გულითაც რომ სურდეთ, ვერ მიდიან ტბების და გუბეების წყალობით. მოგეხსენებათ, ჩვენში ძლიერ ცუდი გზებია და მათ შეკეთებისთვის არავინა ზრუნავს.

სიმინდს ჩვენში, კარგა ხანია, ფასი დააკლდა. სოფელს ათას გვარი საჭიროება აქვს, და ძალა უნებურად ნახევარ ფასად ჰყიდის. როგორც იყო, სახელმწიფო ხარჯი შეიკრიბა და წარსდგა ხაზინაში. ჩვენს სოფელს ხაზინამ ოთხასი მანეთი დაუბრუნა უკან. თურმე შეცდომით გარდასახადზედ მეტი შეუტანიათ და ხაზინამ უკან დააბრუნა. ამ ფულს ბევრი პატრონი გამოუჩნდა, მაგრამ საზოგადოება არავის აძლევს. უმჯობესი იქნება, რომ ეს ფული, რაკი ამდენი პატრონი აღმოუჩნდა და საქმე სადავიდარაბოდ გახდა, რაიმე საზოგადო საქველ-მოქმედო საქმეს მოახმარონ, მაგალითად დედათა დასაარსებელს სკოლას. აქ განზრახვა აქვთ, ქალებისთვის სკოლა დააარსონ. ამ საქმეს ბევრი კეთილი მსურველი აღმოუჩნდა. აქაურ სკოლის მზრუნველმა თავ. ალ. მ. ჩხეიძემ, რომელმაც ახლანდელი სკოლა თავის ხარჯით ააგო, საზოგადოებას ოთხასი მანეთის შემწეობას დაჰპირდა თუ მომავალ სეკტემბრისთვის ქალების სკოლას დაარსებთო (ახლა ის სეკტემბერი უკვე წასულია). მაგრამ ეს საქმე ვერ მოხერხდა და დარჩა; ახლა-კი, რა მოგახსენოთ, თავ. ჩხეიძე კეთილ ინებებს ხელახლად ამ შემოწირვას, თუ არა, მაგრამ ამედია, რომ არც ახლა დაიშურებს, თუ კი ეს საქმე განხორციელდა.

*** დარუბანდი: 6 დეკემბერს დარუბანდის სომხეთა სკოლის მასწავლებლებმა გაჰმართეს საყმაწვილო საღამო. საღამომ მშვენივრად ჩაიარა. რამოდენიმე სომხური სიმღერა იმღერეს, ლექსები და საყმაწვილო სცენები წაიკითხეს. სასიამოვნოდ დაგრჩებოდათ, რომ გენახათ ნამცეცა ყმაწვილების სცენაზედ სხაპა-სხუპით ლაპარაკი.

ცალკე ოთახში ბუფეტი იყო გამართული. შემოსული ფულით განზრახვა აქვთ ყმაწვილებისთვის იოლკა გამართონ.

*** ჭალის ხეობა: ამ თთვის პირველ რიცხვებიდგან სამი დღე განუწყვეტლივ იწვიმა აქეთკენ. მას უკან სამს დღესვე შეუჩერებელი თოვლი მოდიოდა. ზენა-ქარი მთელი სამი დღე ჰქროდა, გზები შეიკრა, ცა აღარ გამოჩნდა, და თითქმის არშინზედ დასდო თოვლი. ესე გასტანა თითქმის ამ თთვის ცხრამდის. მიუხედავად ასეთის უდარობისა, ამ თთვის ცხრას წავიდა დროებით სამთავისში მცხოვრებელი დუშეთის მაზრის იკოთელი გლეხი ელიზბარ ნიაური, ოც-და-ხუთი-ექვსის წლის მდევივით ვაჟ-კაცი, სოფ. სამთავისიდგან ლამისყანას საფქვავის გადმოსატანად. ლამისყანა და სამთავისი ხუთ-ექვს ვერსზედ ჰშორავენ ერთმანეთს. დაუდო რამდენიმე ფქვილის ტომარა დათუმცა უდროვო იყო, მაინც წამოილო ყევარის ხარით სამთავისში. გამოსცდა თუ არა ლამისყანას, ხარებს მაშინვე გაუჭირდათ, რის გამოც ნიაური აღმართებში ხან ერთის მხრით ეწეოდა ურემს, ხან მეორეთი. რა-კი ხარებს ძლიერ გაუჭირდათ ზიდვა და ესეც მოიღალა, ადგა, ორი ტომარა გადაიღო ურმიდგან და მოშორებით ტყის ბუჩქნარში შეაფარა, რომ არავინ წაიღოსო, გაიხადა ფარაჯა და, ყინვას რომ არ გაეფუჭებინა ფქვილი, ზედ გადააფარა ტომრებს. თითონ ჩოხის ამარამ ხარები გამოირეკა შინისკენ. ამ დროს წამოეწია სამი ცხენოსანი, ორი ჩაფარი და ერთი ურიადნიკი და „გამარჯვება“. უთხრეს ნიაურმა, მოქანცულმა ურმის წევით, უპასუხა: „ვაი ამისთანა გამარჯვებასაო“. ცხენოსანნი ამაგრებენ გლეხ-კაცს, უკვლევენ გზას მის ხარებს და ნიაურიც მისდევს ვაი-ვაგლახით. იარეს

ამ ნაირად თითქმის სამთავისამდე. აქ უკანასკნელად კიდევ გაამხნევეს ცხენოსანთა, და ჰკრეს ქუსლი ცხენებს სოფ. იგუეთის გზისაკენ, რომელიც ნახევარ ვერსის მანძილზედ არის სამთავისიდგან. დაბნელდა. გახდა რვა საათი. მოვიდნენ ხარები. ბიჭი აღარა სჩანს. მახლობელთ ჰგონიათ, ნიაური ლამისყანას დაბრუნდებოდაო და ყური აღარავინ უგდო. გათენდა დილა და ლამისყანას წავიდა კაცი ამბის გასაგებად. არ გაიარა ნახევარ ვერსი და თოვლში დამღრჩვალს ნიურს-კი წააწყდა გზაში. ჩოხა გაეხადა, თავზედ შემოეხვია, ახალუხიც გაეხადა და ჩოქით, ალბად სიკვდილის დროს, რამდენსამე საჟენზედ ებღუნავა და ექექა თოვლი. გასინჯეს ალაგობრივ და თოვლში დამღრჩალი კაცი მოიტანეს სამთავისში.

⁂ ქუთაისი: მკითხველთ ეხსომებათ, რომ ქუთაისის ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა, სამოქალაქო სკოლასთან დააარსოს სახელოსნო განყოფილება და ამ საქმისთვის გადასდოს ყოველ წლივ 1,600 მანათი. სახელოსნო განყოფილების დაარსების საქმე ქალაქის საბჭომ დაავალა კომისიას, მაგრამ ამ საქმის განხორციელებამ ძლიერ დაიგვიანა, რადგანაც ქალაქის საბჭოსა და გამგეობას სრული ყურადღება ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლისათვის იყო მოქცეული.

ამ ჟამად საბჭომ უკვე გადასწყვიტა, განზრახული განყოფილება ორის წლის შემდეგ დავაარსოთო.

საბჭოს კრებამვე განიხილა მოხსენება ხმოსნის ი. ელიგულაშვილისა, შესახებ იმისა, რომ ქალაქის მოურავად ნამყოფს ლ. ნ. ასათიანს ერთგულის სამსახურისა და მედგარის შრომისათვის დიდი მადლობა გამოვუცხადოთ და ამ მადლობის ნიშნად 1,500 მანათი მივართვათო. კრებამ ეს აზრი მოიწონა და გადასწყვიტა 1,500 მან. მიართვას. გადასწყვიტა აგრეთვე, ერთის თვის ჯამაგირი დაურიგოს საჩუქრად ქალაქის გამგეობის მოხელეთ, სანიტარებსა და ფერშლებს იმ ერთგულის შრომისათვის, რომელიც გასწიეს ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ქალაქის მოურავად ნამყოფმა ლ. ნ. ასითიანმა მადლობა გამოუცხადა ქალაქის საბჭოს პატივის ცემისათვის, ხოლო 1,500 მანათის მიღებაზედ-კი უარი სთქვა.

19 დეკემბერს ქუთაისის საბჭოს კრებამ განიხილა ფრიად საყურადღებო საქმეები, წყლის მილისა, ცხენის რკინის გზის გაკეთებისა და ახალ საყასბოს აშენების შესახებ.

ინჟენერმა მუხარინსკიმ წარუდგინა ქალაქის გამგეობას ის პირობანი, რომლებითაც ჰკისრულობს ქუთაისში წყლის მილისა და ცხენის რკინის გზის გაყვანას და აგრედვე საყასბოს აშენებას. ქალაქის საბჭომ ეს პირობანი კომისიას გადასცა განსახილველად.

ამავე კრებას ხმოსანმა მიქიაშვილმა წარუდგინა პროექტი შესახებ იმისა, როგორ და რა გზით უნდა დასუფთავდეს ქალაქის ქუჩები. მიქიაშვილის პროექტით საჭიროა ქალაქს გარედ დიდი ორმო გაითხაროს და ქუჩების უსუფთაობა იქ ჩაიყაროსო. კრებამ გადასწყვიტა, ეს პროექტიც კამისიას გადასცეს განსახილველად.

17 დეკემბერს ქუთაისის ხელოსანთა მოურავად არჩეულ იქმნა მიხეილ კანდელაკი.

⁂ გაზეთ „Т. Л.“-ის სიტყვით, ინჟენერ სიმბერგს ტფილისიდამ კავკავამდე რკინის გზის გასაყვანად გამოკვლევა მოუხდენია. სიმბერგის პროექტით ამ გზაზედ მხოლოდ ერთი გვირაბის გაკეთება იქნება საჭირო და არც ძლიერ დიდი აღმართები იქნება თურმე

## საქართველოს სასულიერო მთავრობის განკარგულება

1892 წლის ოქტომბრის 21-სა დღესა. მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ბრძანებისამებრ, უწმიდესის უმართებულესის სინოდის ქართლ-კახეთიმერეთის კანტორამ სჯა იქონია იმას შესახებ, რომ საქართველოს საექსარხოსოში საეკლესიო საბუთის ქაღალდები (დოკუმენტები) და დავთრები რუსულს ენაზედ სწარმოებდეს.

ჴზრძანეს: მივიღეთ რა მხედველობასა შინა, რომ საქართველოს საექსარხოსოს სამრევლოებში უმეტეს ნაწილად წლოვანების დავთრები და წმ. საიდუმლოს მიღების ფურცლები აქამდე ქართულს ენაზედ სწარმოებს, ისეთს ადგილებშიაცკი, სადაც მღვდლებად გამწესებულნი არიან სემინარიაში სწავლა დამთავრებულნი, ან, თუ სწავლა არა აქვთ დამთავრებული, რუსული ენა მაინც იმდენად იციან, რომ ამ ენაზედ წლოვანების დავთრების წარმოება შეუძლიანთ, და რომ წლოვანების დავთრები კანონით (1876 წ. გამოც. კანონთა კრებულის მე-IX ტ. მე-1033 მუხ.) ვინაობის სიგელებს შეადგენენ, რასაც დიდი სახელმწიფო სამოქალაქო მნიშვნელობა აქვს, ხოლო წმ. საიდუმლოს მიღების ფურცლები-კი, თუმცა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მაინც კანონით (მე-X ტ. მე-1356 მუხ.) დასახმარებელ საბუთის ქაღალდებად ითვლება ვინაობის უფლებათა გამორკვევის დროს, მაგალითებრ, წლოვანების მოწმობათა გასაცემად, — სინოდის კანტორა იმ აზრისაა, რომ ერთიც და მეორეც რუსულს ენაზედ უნდა სწარმოებდეს ისე, როგორც მიწერ-მოწერა სწარმოებს ამიერ-კავკასიის მთავრობის დაწესებულებათა შორის. მეორეს მხრივ, იმ გარებოებისა გამო, რომ ხსენებული საბუთის ქაღალდები ქართულს ენაზედ სწარმოებს, სინოდის კანტორის ზოგიერთნი წევრნი ვერა ჰსარგებლობენ ამ საბუთებით, და ეს-კი შესამჩნევს სიძნელესა და უხერხულობას წარმოადგენს თვით კანატორის მიერ ხსენებულ საბუთების განხილვის დროს, როცა, მაგალითებრ, სწორედ არ არის შედგენილი საბუთის ქაღალდი, გამოტოვებულია რამე და ჩაუწერელი, ან აფუჩეკილია და სხვა რამ ჩაწერილი, ყალბად არის დაწერილი და სხ. ამის გამო, ვინაიდგან ამ სახით ხსენეული საბუთის ქაღალდები არ შეესაბამება მის ოფიციალურს მნიშვნელობას და აგრეთვე საქმეთა წარმოების დროს დაწესებულებას მათს განხილვას ხელს უშლის, სინოდის კანტორამ დაადგინა: საყოველთაოდ მისწეროს საექსარხოსოს ყველა ბლაღოჩინს და მის უწყებასა ქვეშე მყოფ მღვდლებს დააკისროს, ხელწერილის ჩამორთმევით, რომ 1893 წლიდგან წლოვანობის დავთრები და წმ. საიდუმლოს მიღების ფურცლები საეკლესიო კრებულთ უეჭველად რუსულს ენაზედ აწარმოონ, თუნდა ბლანკები ქართულს ენაზედაც ჰქონდეთ მიცემული; ასე უნდა მოიქცნენ არამც თუ იმ სამრევლოებში, რომლის მღვდლებსაც სემინარიაში დაუმთავრებიათ სწავლა, არამედ იქაც, სადაც მღვდლად თუმცა სემინარია, ან სასწავლებელი დამთავრებული არ არის, მაგრამ რუსული ენა-კი იმდენად იცის, რომ შეუძლიან საეკლესიო საბუთის ქაღალდები აწარმოოს. ამასთან ბლაღოჩინებმა კანტორას უნდა წარმოუდგინონ თავისს საბლაღოჩინოს იმ სამრევლოთა ნუსხა, სადაც 1893 წლიდგან საბუთის ქაღალდები რუსულს ენაზედ იქნება წარმოებული, და შემდეგ სასტიკად ადევნონ თვალ-ყური, რომ იმ სამრევლოებში, რომლის კრებულნიც დაიწყებენ წლოვანების დავთრებისა და წმ. საიდუმლოს მიღების ფურცლების რუსულს ენაზედ წარმოებას, ასე განაგრძონ მისი წარმოება შეუცვლელად შემდეგისათვისაც, თუნდა კრებული შეიცვალოს კიდეც. ხოლო მათ ყოვლად უსამღვდელოესობათ, ეპისკოპოსებს იმერეთისას, გურია სამეგრელოსასა და სუხუმისას ეცნობოს ესე ბრძანებათ და მიენდოს, იმათაც თავის მხრივ თვალ-ყური ადევნონ, რომ სავსებით იქმნას აღსრულებული კანტორის ესე წინამდებარე განკარგულება და თავის შეხედულობისამებრ სავალდებულო გაჰხადონ საბუთის ქაღალდების რუსულს ენაზედ წარმოება იმ სამრევლოებშიაცკი, სადაც ადგილობრივ ბლაღოჩინთა არა საკმარის თვალ-ყურის დევნისა და გამოცდილებისა გამო საეკლესიო საბუთის ქაღალდების წარმოება ქართულს ენაზედვეა დარჩენილი, თუმცა კრებულნი სრულის სიკეთით შეიძლებენ რუსულს ენაზედ წარმოებას. ხოლო მისის მაღალყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის კანცელარიას ამოწერილობა გადაეცეს ამა დადგენილებიდგან.

## ქართული თეატრი

„მოღალატე“, დრამა 5 მოქმედებად.

ღალატიც ბევრი ხდება ქვეყანაზედ, ქურდობაცა, კაცის-კვლაცა და სხვა ბევრი ავაზაკობაც. მაგრამ საკმარისი არ უნდა იყოს, სცენაზედ გვითხრან, ვიღაცამ გვიღალატაო, მერე ერთს კაცზე მიგვითითონ და კიდევ გვითხრან: აი, მოღალატე ეს გახლავთ და ამ წუთაში ღირსეულადაც დაისჯებაო. მარტო იმის შესატყობად, რომ ესა-და-ეს კაცი მოღალატე ყოფილაო, თეატრში წასვლა არა ჰღირს. ათასი მოღალატე რომ ვნახოთ, ათასი ქურდი, მამულის გამყიდავი, ერთმა რომ ძმას უღალატოს, მეორემ მამას, მეგობარს ან თვით მამულს, განა ყველა ეს დრამა იქნება? არა. თუ თეატრში იმ პიესის სანახავად წავალ, რომლისათვისაც ავტორს „მოღალატე“ უწოდებია, ამ პიესამ უნდა დამანახვოს, რისთვის ჩაიდინა კაცმა ღალატი, რად გაჰყიდა სამშობლო, რა ვნებამ გაიტაცა, რა გველი ჩაუძვრა გულში და რამ დააკარგვინა პატიოსნება, სინიდისი და მამულის სიყვარული, ეს საუკეთესო და სათაყვანო გრძნობა ადამიანისა. პიესამ ნათლად უნდა დამანახვოს სულის კვეთება, ტანჯვა, გრძნობათა ჭიდილი იმ კაცის გულში, რომელმაც რაიმე ავაზაკობა განიზრახა და შემდეგ უნდა დამანახვოს, როგორა ჰქენჯნის ამ კაცის გულს სინიდისი, თუ ვინიცობაა განზრახული ავაზაკობა ჩაიდინა და მერე სინიდისი განეღვიძა. პიესამვე ნათლად უნდა გვიჩვენოს, რა დაშავდა ამ კაცის ღალატით, ვინ დაიტანჯა, ვის გულს მოხვდა ისარი, ვინ აწამა და ვინ აატირა ამ კაცის ღალატმა, ვის დაუკარგა სიმშვიდე გულისა, ვის შეაძულა ერთმანეთი, ვის დასცა ლახვარი, ვისი გული დასწვა და განგმირა. ესეც საკმარისი არ არის. პიესამ ისე ნათლად უნდა წარმოგვიდგინოს თვალ-წინ დაჩაგრულთა ვაება, რომ გული სიბრალულით აგვევსოს, შეგვეცოდნენ ტანჯულნი და შეგვძულდეს ის უსინიდისო კაცი, ვისის წყალობითაც უბედურება მოხდა, შეგვძულდეს თვით ღალატიც, როგორც საზიზღარი საქციელი სულმდაბალ კაცისა...

მგონია, ასე უნდა ემოქმედნა მაყურებელზედ „მოღალატეს“ და რა ვნახეთ? ბეჟანის შვილის ზალიკას

---

# ფელეტონი

## ყოველთვიური პროვინციელისა

ოქტომბერი და ნოემბერი

(წერილი გურიიდგან)

(დასასრული *)

წლევანდლამდე ჯარის კაცად გასაყვანთ კენჭის ყრაც საჭირ-ბოროტო საგნად იყო გადაქცეული, რადგანაც ყველა საზოგადოებიდამ კენჭის საყრელ ახალ-გაზრდობას ოზურგეთში უნდა მოეყარა თავი. ხოლო ვინ არ იცის, რომ ამოდენა ხალხის ოზურგეთში მიწვევა დიდი ცოდო და ბრალი იყო. ჯერ ერთი რომ დიდი გზა უნდა გაევლოთ და მასთან ხარჯიც არა მცირედი უნდებოდათ. ჩვენმა თავად-აზნაურობის წინამძღოლმა თავადმა გუგუნავამ, რომელიც სამხედრო საკრებულოში თავ-მჯდომარეობს, ღვთისნიერის თვალით შეჰხედა ამ უხერხულობას და იმისი საშუალებით წელს კენჭის-ყრა თითოეულ საზოგადოში ცალ-ცალკე მოხდა: ოზურგეთში, ჩოხატაურში და ლანჩხუთში, რის გამოც მთელის მაზრის მკვიდრნი მადლობელნი არიან. ჩოხატაურლებმა მადლობის ნიშნად სადილიც გაუმართეს წინამძღოლს. ჩვენში, სადაც ათას გვარი უკულმართობა და უსამართლობა სუფევს, დიდ ამბავად ჩაითვლება, როცა რომელსამე თანამდებობისა და ხელობის კაცი იფიქრებს, რომ ჩვენ უნდა ვემსახუროთ ქვეყანას და ერს და არა ისინი ჩვენა. ამიტომაც არის, რომ ასეთს ამბავს რაღაც განსაკუთრებულ მოვლენად ჩავსთვლით და იმედი და სასოება გვესახება გულში. იქნება ღმერთმა მოგვხედოს და ისეთს ბედნიერს დროს მოგვასწროს, რომ ყველა მოხელე, ყველა თანამდებობის კაცი მხოლოდ ამას ფიქრობდეს და ამ ფიქრის თანახმად მოქმედობდეს.

წლევანდელ კენჭის ყრაზედ, სხვათა შორის, ერთი ამბავიც შევნიშნეთ: ხალხს გაუგია ამ საქმის ავანჩავანი და მატყუარა მბლაჯნელებს მაგრე რიგად აღარ უვარდება ხელში, აღარ ენდობა. თუ რამე მიშველა კენჭმაო, გაიძახოდნენ, თორემ სხვა თურმე სულ ტყუილიაო. აქ ასახელებდნენ იმათ, ვისაც წინა-წლებში რამე დაეხარჯა და ფუჭად ჩაიარა.

— კენჭი თუ გამანთავისუფლებს, კი მიამება, თვარა სხვაფერ თუ დამიწუნებს, სალა გავაჭყირო თვალი, სალდათად თუ არ ვარგვარ, აღარ აფერად მოსახმარი ვყოფილვარ, იმეორებდნენ აქა-იქ გურული ახალ-გაზრდები.

**

კენჭის-ყრას, სადაც უნდა მომხდარიყო და მოხდეს, კიდევ გაუძლებს კაცი და, როგორც იქნება, „კბილის ძალით“ თავს გაიტანს. ჩვენს მაზრას, განურჩევლად წოდებისა და შეძლებისა, სხვა ერთი გარემოება ძლიერ აწუხებს და ალონებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით არა თუ არ ვიცით ამ წუხილის წამალი, არამედ ისიც არ ვუწყით, როდის მოგვხედავს ღმერთი და როდის დაედება ამ წუხილს საზღვარი. მოგეხსენებათ, რომ საადგილ-მამულო დავა ჩვენში ყოველ ნაბიჯის გადადგმაზეა. კერძო კაცთა შორის დავა, როგორც იქნება გათავდება და მოელება ბოლო. ხოლო ვაი იმას, ვისაც ჩვენებური სახაზინო ტყის-მცველები მოსდებენ შარს და გააბამენ ქსელში. უნდა იცოდეთ, რომ ასეთს დავას არც წრე ექნება, არც საზღვარი, ვერც თავს გაიგებთ იმისას და ვერც ბოლოს. აქ ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ დავის ატეხა და, რასაკვირველია, ტყუილ-უბრალოდ, უბრალო ტყის მცველებსაც შეუძლიათ, რომელნიც ამ სახელის წყალობით ბევრნაირად ხრავენ ერთის მხრივ სახაზინო ტყეს და მეორეს მხრით საბრალო მათ მსხვერპლს. ვსთქვათ, კერძო მემამულის ტყეში დამუშავებული ხეტყე გზად სახელმწიფო ტყეში გაატარეთ, დაგხვდებიან ტყის-მცველები და, თუ ხახა არ ჩაუგემრიელეთ, შეგიდგენენ ოქმს და მზად არიან დაიფიცონ მართლ-მსაჯულების წინაშე, რომ თქვენ დაარღვიეთ სახელმწიფო ტყის დებულება და ეს ტყე სრულიად გადაჰკაფეთ. ამისთანა შემთხვევა არა ერთი და ორი ყოფილა ჩვენში, მაგრამ დღემდე ვერაფერი სახმარი და ღონის-ძიება ვერ გვიპოვნია ამ სამწუხარო და ჩვენს კეთილ-დღეობის გამანადგურებელის სენის წინააღმდეგ.

ეს ამბავი აქ იმიტომ გაგვახსენდა, რომ ამ ახლო ხანში მეტყევე (Лѣсничій) გამოგვეცვალა, ხოლო მეტყევეს, როგორც პირდაპირ უფროსს ტყის მცველებისას, ბევრი რამ შეუძლია. შეუძლია, რომ ტყის-მცველად სინდისიერი და პატიოსანი კაცები იყოლიოს და არა იმისთანანი, რომელნიც ორის გროშის გულისათვის სინდისსაც გაჰყიდიან, სულსაც და პატიოსნებასაც. იმედი გვაქვს ახალი მეტყევე ყოველსავე ამას იგულის-მოდგინებს და ამ საჭირ-ბოროტო საქმეს ახალ ფერსა და იერს დასდებს. მართალია, კანონით აკრძალულია სახაზინო ტყით სარგებლობა, მაგრამ იმავე კანონითვე აკრძალულია განადგურება და გალატაკება ტახტის ყველა ერთგულის ქვეშევრდომისა, რომლის კეთილ-დღეობა ისე მჭიდროდ შეკავშირებულია მთელის სახელმწიფოს კეთილ-დღეობასთან. ჩვენ აქ ამ საგანზე ბევრს ვილაპარაკებდით, ბევრს შემთხვევას აღვნიშნავდით თქმულის დასასაბუთებლად, მაგრამ ვშიშობთ, ვაი თუ ყოველივე ეს დარჩეს მხოლოდ „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“.

დათიკო ვერმიცანაშვილი

*) იხ. „ივერია“ № 273.

(სვიმონიძე) ღალატისა და დაბეზღების გამო, რამაზ მუხრან ბატონს ციხეში აპატიმრებენ. ამას ის ტანჯვაც ემატება, რომ მუხრან-ბატონმა არ იცის, ვინ მიღალატა, ვინ დამაბეზღაო. მუხრან-ბატონს სიკვდილის დასჯა გადუწყვიტეს. მუხრან-ბატონის მოურავი ბეჟან (გუნია) შეიტყობს, ჩემს ბატონს ჩემმა შვილმა ზალიკამ უღალატაო, და უნდა თავისი შვილი ამ სირცხვილს გადაარჩინოს. ამიტომ თვითონ შესწირავს თავს: ჩაიცვამს ბატონის ტანისამოსს და მცველთ ეტყვის, მუხრან-ბატონი მე ვარო. ამ გვარად მუხრან-ბატონი განთავისუფლდება და ზალიკა თავისს მამას დაჰღუპავს.

ზალიკასავე ღალატის გამო რაჟდენ ერისთავი (მჭედლიშვილი) ჰშორდება თავისს სატრფოს, მუხრან-ბატონის ქალს, ქეთევანს (მძინაროვისა). ზალიკასავე ღალატით რაჟდენ ერისთავი, რომელიც მუხრან-ბატონს შვილისავით უყვარდა, ეხლა შესძულდება, რადგანაც იჭვნეულობს, რაჟდენმა ხომ არ მიღალატაო. ზალიკასავე ბრალია სხვა უბედურებაც, რომელიც ამ ღალატს მოჰყვება, მტრის შემოსევა, ბრძოლა, თოფებისა და ზარბაზნების სროლა...

ყველა ეს და ბევრი კიდევ სხვა რამ დაგვანახვა ამ პიესამ, მაგრამ ისკი ვერა ვნახეთ, ზალიკას გულში რა ამბავია. სწორედ მოგახსენოთ, ძლიერ შეგვეცოდა ზალიკას როლის მოთამაშე ბ-ნი სვიმონიძე. სცდილობდა ეჩვენებინა საზოგადოებისთვის, საშინლად ვიტანჯებიო, ოხრავდა, ჰგმინავდა, ჰქშინავდა, ჰკვნესოდა, ხელებს იმტვრევდა; „ჰა“-ს, „ჰო“-ს და „ჰუ„-ს ხომ საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ არ იქნა, არა გამოვიდა-რა. სცენაზედ მოღალატე კაცის ტანჯვასა და სულის კვეთებასკი არა ვხედავდით, არა, სცენაზედ იტანჯებოდა საბრალო არტისტი, რომელიც ჰგრძნობდა, საჭიროა ეხლა ხალხს დავანახვო, ვითომდა რა საშინელი ცეცხლი მინთია ეხლა გულშიო. დიაღ, არტისტი ჰგრძნობდა ამას და ავტორმა-კი ან არ მოინდომა, ან ვერ შესძლო ეს გრძნობა მოღალატისა დაესურათებინა და თითქოს ეუბნებოდა არტისტს: რა დროს შენი გრძნობების გამოხატვაა, საქმე გამოგლევია? მოღალატე ხარ და შაბაშ!..

არც სხვების გულში ჩაგვახედა „მოღალატე“-ს ავტორმა. ვერც ის დაგვისახა, რა დიდი ბრძოლა უნდა ყოფილიყო ბეჟანის გულში, როცა ბატონის მაგიერად, თითონ გაჰყვა ჯალათს, ვერც რაჟდენ ერისთავის დარდი, სატრფოს განშორების გამო, ვერც ქეთევანის ჰმუნვა. დანარჩენნი მომქმედნი ხომ თითქოს იმიტომ გამოდიოდნენ სცენაზედ, რომ ხალხისთვის ეუწყებინათ, მე ესა-და-ეს სახელი მქვიანო, აი ასეთი ტანთ-საცმელი მაცვია, იარაღიც მარტყია და ამ წუთას, გნებავთ, ხმლით დავჩეხავ ვისმე და, გნებავთ, თოფს გავისვრიო.

„მოღალატე“-ში არც ერთი გმირი არ არის დახასიათებული. ავტორს უნდა, სხვა-და-სხვა სურათები და სხვა-და-სხვა მოქმედება გვიჩვენოს და ისე გაგვისტუმროს სახლში. ამ მოქმედებაში „ორგული შვილი“ გახლავთო, გვეუბნება ავტორი, ამ მოქმედებას „ყველაფრის დაკარგვა ჰქვიანო“, მესამე მოქმედებაში შვილის ცოდოს მონანიება იქნება, მეოთხეში „ქართველ ჯართა საიდუმლოს“ გაგიმჟღავნებთ, ბოლოს სოლომონ მსაჯულსა და მეფე ერეკლეს გიჩვენებთ, საქართველოს დროშას აგიფრიალებთ, ზარბაზნების სროლას გაგაგონებთ და მეტი რაღა გნებავთო?

რა უნდა გვინდოდეს? „თქვენი სიცოცხლე! ბოლოსაც „ზირთი-ფირთი საქმე“ ვნახეთ და შინ წამოვედით. მეორე დღეს მარტო ის გვახსოვდა, რომ ციხის მცველი ქრისტესია ნადიაკვნარი სულ ერთიანად მთვრალი იყო და იმას გაიძახოდა: „მე რო მდომებოდა, დეკანოზი ვიქნებოდიო“. რა მოგახსენოთ: ქრისტესია ნადიაკვნარი დეკანოზი იქნებოდა, თუ არა, მაგრამ «მოღალატეს» ავტორს-კი მოვახსენებთ, რომ ქრისტესია ნადიაკვნარისთანა კაცს მეტეხის ციხეს არ ჩააბარებდნენ. რას ბრძანებთ, ბატონო, ის ხომ სულ ლოთობას მოუნდებოდა და პატიმრები-კი ციხიდგან გაიპარებოდნენ. მერე კიდევ იმას მოვახსენებ «მოღალატეს» ავტორს, რომ ქართველ კაცზედ დიდი ცილის წამებაა ქრისტესიასთანა ტიპის დასურათება. ქრისტესია ღვინის ჩარექას პირიდგან არ იშორებს და სულ ერთთავად სვამს დასვამს. მართალია, ქართველებს გვიყვარს ღვინის სმა, მაგრამ, ღმერთმა დაგვიფაროს, „ზაპოი“თ-კი არა ვსომთ, ე. ი. გამუდმებით, გამოუფხიზლებლად.

უფრო დიდი ცილის წამებაა ქართველ კაცზედ თვით „მოღალატეს“ ზალიკას როლის დასაბუთება. მეთვრამეტე საუკუნეში ქართველი კაცი ჰღალატობს თავის ბატონს, რომელთანაც ერთად შეიზარდა, ჰღალატობს მამულს, ქვეყანას და მერე რისთვის? ასი ოქროს გულისთვის, რომელიც ბატონის უნაგირშია შენახული. ჩვენ გვგონია, „მოღალატე“-ს ავტორი ამ საქმეს რომ დაუკვირდეს, თითონვე აღიარებს: „დიაღ, ეს ცილის წამებაა, ქართველი კაცი არა ყოფილა ვერცხლის მოყვარეო, მაგრამ რად ჩავადენინე ზალიკას ასეთი საქციელი, ღმერთმანი, არ ვიციო. მე მხოლოდ მინდოდა „კარგი“ დრამა დამეწერა, ისეთი დრამა, რომ ხალხს მოსწონებოდა ე. ი. სცენაზე ყოფილიყო ზარბაზნების გრიალი, დროშების ფრიალი და სხვ. რაც შეეხება თვით დრამას, მომქმედთა დახასიათებას, ეს, ჩემის აზრით, სულ მეტია“. გვგონია, რომ ასეთი სურვილი ჰქონია „მოღალატეს“ ავტორს. ამ აზრს უფრო მკაფიოდ დავამტკიცებთ. დრამაში „მოღალატე“ სხვა მომქმედთა შორის გამოყვანილნი არიან მეფე ერეკლე და სოლომან მსაჯული, ეს ორი წარჩინებული გმირი და შესანიშნავი კაცი ჩვენის ქვეყნისა. მერე, რად აწუხებს „მოღალატეს“ ავტორი ამ პატივცემულ გმირთ და რად გამოჰყავს სცენაზედ? უნდა დაგვანახოს, როგორი მეფე იყო ერეკლე, ან როგორი მსაჯული იყო სოლომან მსაჯული? სულაც არა. სცენაზედ მეფე ერეკლესა ან სოლომონ მსაჯულის აჩრდილიც-კი ვერა ვნახეთ. ვკითხამ იმათ, ვინც ამ დრამის წარმოდგენას დაესწრო, რა დააკლდებოდა დრამას, მეფე ერეკლესა და სოლომონ მსაჯულის დიდებული სახელი რომ არ შეეწუხებინა ავტორს და სცენაზედ არ გამოეყვანა? არაფერი. დრამა ისევ ისეთ დრამად დარჩებოდა. გავკადნიერდებით და ვიტყვით, „მოღალატე“ში რომ თვით მოღალატე ზალიკას როლიც-კი არა ყოფილიყო, პიესას არაფერი დააკლდებოდა. მხოლოდ სახელი უნდა გამოგეცვალათ პიესისათვის და ეს, ხომ მოგეხსენებათ, ძნელი არ არის. ან ერთი ეს მიბრძანეთ: „მოღალატე“ რომ სრულიად არ დაწერილიყო და არ წარმოდგენილიყო, ვითომ რა დააკლდებოდა ჩვენს საზოგადოებას? არაფერი.

არა, ბატონებო, არავის საწყენადკი არ დარჩეს და ამას-კი მოგახსენებთ: „არ გვინდა თქვენი მოქმედებანი და ომის სურათები. ასეთს სურათებს „პანარამაშიც“-კი აჩვენებენ თითო შაურად“.

თუ თეატრი სკოლა არის ხალხისათვის, მაშ ამ სკოლაში წარმოდგენილმა პიესამ, დრამა იქნება თუ კომედია, უეჭველად ადამიანის ან სულს უნდა უთხრას რამე, ან გულსა. თუ არა და, მარტო თოფის სროლისა და ხმლის ტრიალის ყურება ისე მალე მოსწყინდება ხალხსა, რომ მერე, ზარბაზნები-კი არა, ყუმბარებიც რომ გაისროლოთ სცენაზედ, თეატრში აღარავინ მოვა.

Senex.

## რუსეთი

გაზეთი „Петерб. Вѣд.“-ის სიტყვით, ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს რამდენიმე სხვა-და-სხვა პროექტი შეადგინოს და შემოიღოს ახალი სხვა-და-სხვა გარდასახადი, როგორც გაწერილი, ისე გაუწერელიც. ამბობენო, დასძენს გაზეთი, რომ ახალი ბაჟი დაედება უფრო მდიდართა სახმარებელს და არა პირველ საჭიროების საქონელსა და ნივთებსაო. გაზეთის სიტყვით, სამინისტროს აგრეთვე აზრადა აქვს, საზღვარ-გარედ გამსვლელთათვის პასპორტი გააძვიროს და მხოლოდ იმათ მისცეს ამ მხრივ შეღავათი, ვინც საზღვარ-გარედ სამეცნიერო აზრით გაემგზავრება. ყოველ ამ პროექტების შემუშავება მომავალ წლის მარტის თვემდე უნდა გათავდეს თურმე.

— არა ერთხელ დამტკიცდა მაგალითებით ის აზრი, რომ მეცნიერების რომელისამე ნაწილის კარგი მცოდნე, ძლიერ გამოჩენილი და დიდებულიც რომ იყოს, უვიცობას იჩენს ხოლმე მეცნიერების სხვა ნაწილში და უფრო მეტად ცხოვრების ავ-კარგიანობის გაგებაში; ამიტომ ამისთანა „სპეციალისტებს“, როცა ისინი გამოდიან საზოგადო ასპარეზზე და თავის რჩევით თითქოს სარგებლობის მოტანა სურთ, დიდი ვნება მოაქვთ, რადგან საზოგადოებას ყოვლის მცოდნე ბრძენთა-ბრძენად მიაჩნიათ და ადვილად სჯერა მათი სიტყვა... ამ აზრის საუკეთესო დამამტკიცებელი მაგალითი რუსეთის გამოჩენილი და მეცნიერებაში ცნობილი ქიმიკოსი მენდელეევია, რომელმანც ამ მოხუცებულობის დროს თავისი სპეციალ-მეცნიერებიდგან, ქიმიიდგან, საფინანსო და საპოლიტიკო-საეკონომიო მეცნიერების საქმეში გაერია და, რაც შემცდარი და უარ-ყოფილი იყო ამ ორ მეცნიერების უკეთესს წარმომადგენელთაგან, იმას ჰქადაგებს.

ამ დღეებში რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის აღორძინების საზოგადოების დაარსებიდგან 25 წლის შესრულების იუბილეი იდღესასწაულეს პეტერბურგში. მენდელეევმა სიტყვა წარმოსთქვა ამ დღეს და ამტკიცებდა, რომ მრეწველობა ძრიელ სასარგებლო და საჭიროა რუსეთისათვის; მეურნეობაო, უთქვამს ბ-ნ მენდელეევს, ვერ დააკმაყოფილებს ხალხს და ის ღონისძიებანი, რომელნიც მიწის-მოქმედების განსაკარგებლად არიან მიმართულნი, სულ აავსებენ ბაზრებს იაფის პურით და სოფლის მეურნეთ ახალ უბედურებას შესძენენო“. აქედან შეიძლება ის დავასკვნათო, სამართლიანად ამბობს გაზეთი „Рус. Вѣд.“-ი, რომ მენდელეევის აზრით, მეურნეობის განკარგებისათვის ზრუნვა სრულიად არა ყოფილა საჭირო. ზემოთ მოყვანილ აზრს პროფესორი მენდელეევი თავისის საფინანსო დაკვირვებით ასაბუთებს. ის ამბობს: „გადაათვალიერეთ რომელიც გნებავთ ანგარიში სახელმწიფო შემოსავალ-გასავლისა და დაინახავთ, რომ უმეტესი წილი გარდასახადისა საქარხნო მრეწველობას აწევს და მხოლოდ უმცირესი ნაწილი გარდასახადისა მიწას — სულ 5%“. „Рус. Вѣд.“-ს ეს ძლიერ დიდ შეცდომად და საქმის უცოდინარობად მიაჩნია და ამბობს, ნუ თუ ყველასაგან ცნობილი არ არისო, რომ ხაზინა უმეტეს ნაწილად გაუწერელის გარდასახადით ივსება და გაუწერელი გარდასახადიც საზოგადოდ აუცილებლად საჭირო საქონლებს აძევს? ამიტომ ძლიერ საყურადღებოა ის ციფირები, საიდგანაც ზემოდ მოყვანილი ახირებული აზრი გამოჰყავს პატივცემულ პროფესორს. დიდებული ქიმიკოსი მენდელეევი ვერაფერი „ეკონომისტი“ ყოფილაო, ამბობს გაზეთი.

— საგლეხო ბანკების წესდებაში საყურადღებო ცვლილება უნდა შეიტანონ: ყოველ წლიური გარდასახადი $7^1/_2$ და $8^1/_2\%$-იდგან უნდა $6^1/_2$ და $5^1/_2\%$-მდე შეამცირონ და ბანკის ვალის გადახდის ვადა, რომელიც ახლა $24^1/_2$ და $34^1/_2$ წელს არ აღემატება, გაახანგრძლივონ. მასთან გლეხებს უფლება ეძლევათ, როცა-კი ნამდვილად საჭირო აღმოჩნდება, საჯაროდ გასასყიდი სათავად-აზნაურო და სხვა კერძო ბანკებში დაგირავებული მამულები იყიდონ; ამისათვის საგლეხო ბანკი, ან განყოფილება აძლევს გლეხებს მოწმობას, რომელსაც ფულის მაგიერად მიიღებს მამულის გამყიდავი ბანკი. თუმცა იმასაც ფიქრობენ, რომ, უკეთესი არისო გლეხმა თითონაც თავისი ჯიბიდან გამოიღოს მამულის სასყიდლად ფული: უფრო საიმედო და ხელ-საყრელი იქნება მაშინ მყიდველისათვის მამული.

### წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო მათ, ვინც შემოსწირეს ქართული და რუსული წიგნები ქართულ წიგნთსაცავის სასარგებლოდ, რომელიც უკვე ამ ჟამად გაიმართა მარტვილის ორ-კლასიან სამრევლო სკოლასთან.

შემომწირველთა სია: ქ-ნნი პარასკევა ქავთარაძისა, პელაგია ხოშტარია, მინადორა ქავთარაძისა, აგრაფინა ჭადგანიძისა; მარიამ ოსიძისა და მინადორა მეძამისა. ბ-ნნი: მღვდელი იაკობ ხუციანცი, კონსტანტინე ოდია, ამბაკო ცომაია, მიტროფანე გეგეჭკორი, ვარდენ ყიფიანი, ევნატე ნაცვალოვი, ანტონ საბახთარიშვილი, ავქსენტი გაგუა, ილია სულაქველიძე, ალექსი, ნიკო და ისლამი ჭანტურიები, ანდრია ჟვანია, ბერო გაბუნია, იოსებ კვალიავი, მინა ნიკოლავი, ესტატე გიგაძე, ვასილი ფირალოვი, იოსებ მახარაძე, ლაზარე თურქია, იაკობ ცალქალამანიძე, ნიკო ბარკალაია, ივანე მამფორია, ტიმოთე თურქია, დიმიტრი ნემჩენკო, ივანე ჩინიკევი, ნესტორ ცინცაძე და ვლადიმირ ახობაძე. შემოწირულია სულ ას ათი წიგნი.

სამღვდელო დიაკონი ფოთის საკათედრო სობოროსი გიორგი გეგეჭკორი.

20-ს დეკემბერს 1892 წ.
ქ. ფოთი.

## ნაბოლარა

### ბატონები

### II

ამას წინად ერთი ახირებული ამბავი იყო დაბეჭდილი „ივერიაში“. სათავადაზნაურო ბანკი თავის ქარვასლას ელექტრონით ანათებს. ერთ-ორს კაცს უთხოვნია ბანკისთვის, ჩვენი მამულებიც სასახლის ქუჩაზე ელექტრონითვე გაგვინათეო. ბანკმა ამის ნება-რთვა აიღო ქალაქის ბატონებისაგან, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ, უკეთუ ქალაქის ბატონები, ადრე, თუ გვიან, კეთილ-ინებებენ, ბანკმა სხვის სახლების განათებას უნდა თავი ანებოს, და, რაც ხარჯი მოუვა, იმაზედაც ხელი აიღოს. ბანკის იჯარადარს, მის დაუკითხავად, ორ სახლისკენ გაუბამს ელექტრონის მავთული და უხალებია. ამის გამო მთელი აყალ-მაყალი ასტეხეს ქალაქის ბატონებმა, როგორ თუ უჩვენოდ ეგ გაბედეთო. ესლა ბანკს უნდა ფრეილინის ქუჩა გაანათოს, ქალაქის ბატონებს ნება-რთვასა სთხოვს და თანაც თურმე პირობას აძლევს, როცა თქვენი ნება იქნება, ყველგან მოვშლით მავთულს, არწრუნისეულ ქარვასლის გარდაო.

მიუხვდით ბატონებს სურვილსა და გამჭრიახობას?

ბატონებს საქმე უჭირთ, საერთო ჯიბე დასცალიერებიათ, აი, ქალაქის კასსას რომ ეძახიან, და უნდათ როგორმე შეავსონ. ნემსი რა არის, ნემსიც-კი გაატყავეს, ქონი ჩამოადნეს, და მაინც არა ეშველათ-რა. ბევრსა ლაპარაკობენ, საიდგან რა მოვაგვაროთო, და, ეტყობა, ელექტრონზედაც ჰქონიათ ლაპარაკი. ელექტრონი კარგი საქმეა, მეტად კარგი. ქალაქის მოედნებსა და სასტუმროებში რო გააბან მავთული, ესეც-კი დიდს შემოსავალს მისცემს ქალაქს; მერე ბატონები თანდათან ასწევენ ფასს, წყალისა არ იყოს, და ერთ საპურწყალს ბაჯაღლოდ აქცევენ. აბა ეს საქმე ხელითგან გასაშვებია!

მაგრამ უბედურება ის არის, როდის და რა ეღირსებათ ბატონებს? თვითონ ფული არა აქვსთ, და სხვა ვინც გაჰმართავს, ლომის წილსაც ის ინდომებს, ბატონებს პირში ჩალა გამოევლებათ. არა, ისევ ისა სჯობიაო, ჰფიქრობენ ბატონები, დავიცადოთ, ვიდრე ღმერთი შეძლებას მოგვცემს; თუ მოვახერხეთ, ხომ კარგი, თუ არა და ეს გემრიელი ლუკმა სხვასაც ნუ ერგებაო.

მეორე მაგარი კიდევ ის არის, რომ ზოგიერთებს ჰგონიათ, ვითომც აქ ბატონებმა ცოტად გადაამლაშეს. აი, რას ამბობენ.

განონით, ქალაქის განათება გალად

ამჟღავნებს ქალაქის თვით-მმართველობას. ეს პრივილეგია არ არის და არც იმას ჰნიშნავს, ვითომც სხვას აღარავის შეეძლოს თავისის ხარჯით თავისის მამულის განათება სანთლით, ნავთით, გაზით თუ ელექტრონით.

— შემიძლიან ჩემს სახლს ნავთის ფანარი მივაკრაო?

— შეგიძლიან!

— ელექტრონისა?

— სულ ერთი უნდა იყოს.

— შეუძლიან ესევე ჩემს მეზობელსაც?

— რაღა თქმა უნდა!

— შეიძლება ორმა მეზობელმა ერთ-ერთის მამულში დავიდგათ ელექტრონის მაშინა და მავთულები გავაბათ ჩვენს სახლებ შუა?

— უნდა შეიძლებოდეს.

— ესევე ხომ ჩემს მეორე მხრის მეზობელსაც შეუძლიან?

— შეუძლიან!

— თუ სამს შეგვიძლიან, ხუთსაც და ათსაც ვერავინ დაგვიშლის?

— ეგრე გამოდის.

— მაშ, განათება მარტო ქალაქის თვით-მმართველობის უფლება არა ყოფილა!

— მაშ არც ნება-რთვაა საჭირო, თქვენ რომ მთელი ქუჩა ანათოთ?

— ნება-რთვა მაშინაც უნდა, როდესაც ქუჩისკენ ერთს ფარანს ჰკიდებთ, ხოლო ეს ნება-რთვა სულ სხვაა და არა ის, რაც ქალაქის ბატონებსა სურთ. აქ იმისთანავე ნება-რთვა უნდა, როგორც ყოველ ახალის სახლის ასაშენებლად და ძველის შესაკეთებლად იღებენ, ე. ი. სამმართველომ უნდა სატეხნიკო მხრივ გასინჯოს და მოიწონოს, რომ საშიში არა იყოს-რა: სახლი თავს არ დამწვეს, ჭერი ბუხართან ახლო არ იყოს, ელექტრონმა სახლს ცეცხლი არ მისცეს, ან გამვლელ-გამომვლელს არა ავნოს-რა და სხვ. სამმართველოს ცავი უარი—არა შენ ნებას არ მოგცემ, მე თვითონ მინდა ოდესმე გაგინათოვო, ან ეხლა გააკეთე და, როცა გიბძანებ, ისევ მოშალე—სრულიად უსაფუძვლოა, და ამისთანა ხელ-წერილების ჩამორთმევაც განონს ეწინააღმდეგება.

მაშასადამე, ბანკს სრული ნება აქვს მეზობლები დაიყოლიოს, სახლები და ქუჩებიც ელექტრონით ანათოს და არავითარ საზარალო პირობით ხელი არ შეიკრას, მაცანაც რომ არ ეპრიანოთ ქალაქის ბატონებს.

ფ.

---

პეტერბურგის ბირჟა, 22 დეკემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | $7_{,96}$ | $8_{99}$ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 159 | 159¾ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | $1_{,08}$ | $1_{,10}$ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 243¼ |
| —მეორისა | 215 | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — „ | — „ | 192 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | — „ | — „ | — „ |
| 5% | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — „ | — „ | — „ |
| 5% | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

---

### ნიხრი

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. „ | 4 „ |
| „ „ 2 „ „ „ | 3½ |
| „ „ 3 „ „ „ | 3 „ |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ | 5 კ. |
| „ „ „ 2 „ | 4 „ |
| „ „ „ 3 „ | 3½ |

ჯვარის მამის პურის ლავაში.

| | |
|---|---|
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | 7 კ. |
| მე-2 „ „ „ „ | 5 „ |
| მე-3 „ „ „ „ | 4 „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | 7 კ. |
| სუკი — — — | 12 „ |
| ცხვრის ხორცი — — | 7 „ |


# განცხადებანი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მაღაზიაში (Караванъ-сарай Дворянскаго Земельнаго Банка № 125) ისყიდება ვ. გუნიას მიერ შედგენილი სურათებიანი

## საქართველოს კალენდარი 1893 წლისა

ფასი 45 კაპ.

(5—5)

---

## „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა, პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| ნაქვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |
| კიკოლას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი, ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფფისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . . . . . . | „ | 25 |
| სამი ცელქი, საყმაწვილო სურათებიანი წიგნი შ. მღვიმელისა . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . . | „ | 50 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა . . . . . | „ | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . . | „ | 50 |

---

# საყურადღებოდ!

მომავალ დღესასწაულებისათვის ისყიდება საგანგებოდ ჩამოტანილი

## კახური ღვინოები

ბოთლი 12 კაპ. ვიდრე 1 მან. და 50 კ., ვედრო 1 მან. და 80 კ. ვიდრე 12 მან.

პოდვალი იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, წინამძღვრიშვილის სახლებში № 2.

ს. კურდღელოვი

---

# „РАЗВЛЕЧЕНІЕ“

Журналъ политическій, литературно-художественный и сатирическій съ карикатурами.

ГОДЪ ИЗДАНІЯ ТРИДЦАТЪ ПЯТЫЙ

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1893 ГОДЪ

Новая редакція дѣйствуетъ около полутора года,—и наши постоянные читатели имѣли возможность убѣдиться, въ какой степени она стремится усовершенствовать журналъ, давъ ему желательное направленіе. Для участія въ работѣ журнала привлечены всѣ лучшія силы, выдающіяся на литературномъ и художественномъ поприщѣ, о чомъ, собственно, нѣтъ надобности говорить постояннымъ читателямъ, такъ какъ они хорошо ознакомлены съ *содержаніемъ и стремленіями* журнала и, какъ замѣтно для редакціи, не падки на внѣшній лоскъ.

Это мы говоримъ смѣло, такъ какъ наши усилія къ совершенствованію журнала поощрены нетолько неожиданнымъ успѣхомъ, увеличившимъ число подписчиковъ прежняго издателя—более чѣмъ втрое, но и массою сочувственныхъ писемъ, благодарящихъ за возвратъ къ *давно забытому типу сатирическихъ журналовъ*. Впрочемъ за это насъ кое-кто называетъ прямолинейными,—но мы гордимся такимъ прозвищемъ, ибо поклоняемся правдѣ и не привыкли ходить криволинейными путями, тѣмъ болѣе—скрывать свои недостатки.

Журналъ даетъ въ годъ пятьдесятъ номеровъ, въ которыхъ помѣщается более восьмисотъ прекрасно исполненныхъ рисунковъ извѣстныхъ карикатуристовъ-художниковъ. Литературный-же отдѣлъ вмѣщаетъ въ себѣ массу художественныхъ разсказовъ, сценъ, очерковъ, стихотвореній и всякаго рода сатирическихъ и юмористическихъ мелочей, трактующихъ злобы дня и дающихъ полную картину кравовъ современнаго общества и общественныхъ дѣлъ столицъ и провиціи.

ЖУРНАЛЪ ПЕЧАТАЕТСЯ ВЪ СОБСТВЕННОЙ ТИПОГРАФІИ.

По примѣру прошлаго года,—въ наступающемъ году издательница нашла возможнымъ разослать всѣмъ годовымъ подписчикамъ

**ТРИ ПРЕМІИ**

состоящія изъ фотогравюръ съ картинъ художниковъ, каждая въ размѣрѣ не менѣе прошлогоднихъ (около 1¼ вершковъ):

первая премія

**„МИНЬОНА“**

*(Картина Габрѣля Макса);*

втарая премія

**„ПРЕДЛОЖЕНІЕ“**

*(Картина де-Блааса);*

третья премія

**„ВЪ ГАРЕМѢ“**

*(Картина Конрада Кизеля);*

ВСѢ ТРИ ПРЕМІИ ВЫСЫЛАЮТСЯ НЕМЕДЛЕННО ПО ПОДПИСКѢ.

Подписывающіеся съ разсрочкою получаютъ преміи по уплатѣ всей подписной суммы.

**УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:**

| | | |
|---|---|---|
| На годъ | *съ преміями* семь р.; *безъ премій* | шесть р. |
| » полгода | . . . . . . . . . . | три р. |
| » три мѣсяца. . | . . . . . . . . . | одинъ р. 50 к. |
| » одинъ мѣсяцъ | . . . . . . . . . | 50 коп. |

Уплата подписныхъ денегъ МАРКАМИ не принимается.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ: въ Главной Конторѣ журнала: Москва, Тверская, Пасажъ Постникова, а кромѣ того—въ конторѣ Н. Печковской—(Петровскія линіи) и во всѣхъ библіотекахъ и книжныхъ магазинахъ столицъ и провинціи.

Иногородные адресуютъ: Москва, журналу, „Развлеченіе“

---

ახლად გამართული

## პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.

(50—30)

---



## VÉRITABLE BÉNÉDICTINE

(ნამდვილი ლიკიორი ბენიდიქტინი)

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უპირველესი ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A Legrand ainé

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან, უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

ისყიდება საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში დ ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.


Доз. ценз. Тифлисъ, 23-го Декабря 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.